

სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	27
5. ამონაგები	29
6. თვითღირებულება	29
7. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	29
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	29
9. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	30
10. ინვესტიციები	30
11. წინასწარ გაწეული ხარჯები	30
12. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	32
13. არამატერიალური აქტივები	33
14. ბიზნეს კომბინაცია	33
15. მარაგები	35
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35
17. დაბეგვრა	36
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	36
19. საიჯარო ვალდებულებები	37
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37
21. მიღებული სესხები	37
22. კაპიტალი	38
23. ფინანსური რისკი	38
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	40
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	41

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

43

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „დიჯიტალ არეა“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „დიჯიტალ არეა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობე ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
წილობრივ ინსტრუმენტებში აღიარებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების შეფასება ჯგუფი ფლობს ინვესტიციებს 4 სხვა კომპანიის კაპიტალში, სადაც კომპანიის წილი 2%-დან 10%-მდეა. ასეთი ინვესტიციები ბალანსში წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ინვესტიციები ძირითადად ტექნოლოგიურ სტარტაპებშია განხორციელებული და ამ აქტივების ხასიათიდან გამომდინარე, მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება ხელმძღვანელობისგან გარდაუვლად მოითხოვს მნიშვნელოვან და კომპლექსურ მსჯელობებს და სხვადასხვა დაშვებების გამოყენებას.	აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები: - შევისწავლეთ და გამოვიკითხეთ ჯგუფის მიერ აღნიშნული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების დადგენის პოლიტიკა, მიმოვიხილეთ მიდგომები, საკონტოროლო მაჩვენებლები, დაშვებები, დასაბუთებულობა და სანდოობა; - მივიღეთ ჯგუფის მიერ ამ ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის შედგენილი გაანგარიშების სამუშაო ფაილი, მოვახდინეთ აღნიშნულ ფაილში არსებული გადაანგარიშებების ანალიზი. - გადავხედეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ აქტივებთან დაკავშირებით წარდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, შევაფასეთ მათი შესაბამისობა ფასს-თან, მათი რელევანტურობა, საკმარისობა და აღქმადობა

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი პირობითი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო



სს „დიჯიტალ არეა“
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	5	24,099,021	12,739,719
თვითღირებულება	6	(18,572,581)	(11,562,088)
საერთო მოგება		5,526,440	1,177,631
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	7	(5,187,279)	(2,128,986)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(17,155,183)	(11,306,471)
საოპერაციო ზარალი		(16,816,022)	(12,257,826)
ფინანსური შემოსავალი	9	90,960	454,662
ფინანსური ხარჯები	9	(217,723)	(22,709)
ინვესტიციების გაყიდვებიდან მიღებული მოგება		-	77,539
წილობრივი ინსტუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	6,987,425	(828,715)
ინვესტიციის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი		-	503,275
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		130,791	348,154
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(185,618)	(402,170)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთროს სხვაობიდან		12,350	(66,605)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,997,837)	(12,194,395)
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(651,861)	(283,326)
წლის წმინდა ზარალი		(10,649,698)	(12,477,721)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(10,649,698)	(12,477,721)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		(10,572,332)	(12,278,217)
არამაკონტროლებელი წილი		(77,366)	(199,504)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:

ანდრო რატიანი
 გენერალური დირექტორი

ნიკა მაღლაფერიძე
 ფინანსური დირექტორი

დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“


მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	5	24,099,021	12,739,719
თვითღირებულება	6	(18,572,581)	(11,562,088)
საერთო მოგება		5,526,440	1,177,631
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	7	(5,187,279)	(2,128,986)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(17,155,183)	(11,306,471)
საოპერაციო ზარალი		(16,816,022)	(12,257,826)
ფინანსური შემოსავალი	9	90,960	454,662
ფინანსური ხარჯები	9	(217,723)	(22,709)
ინვესტიციების გაყიდვებიდან მიღებული მოგება		-	77,539
წილობრივი ინსტუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	6,987,425	(828,715)
ინვესტიციის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი		-	503,275
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		130,791	348,154
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(185,618)	(402,170)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთროს სხვაობიდან		12,350	(66,605)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,997,837)	(12,194,395)
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(651,861)	(283,326)
წლის წმინდა ზარალი		(10,649,698)	(12,477,721)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(10,649,698)	(12,477,721)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		(10,572,332)	(12,278,217)
არამაკონტროლებელი წილი		(77,366)	(199,504)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:


ანდრო რატიანი
გენერალური დირექტორი


ნიკა მალაშვილი
ფინანსური დირექტორი

დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და წილობრივ ინსტრუმენტებში	10	16,196,764	6,732,914
გუდვილი	14	7,875,160	7,875,160
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოიყენების უფლება	12	3,616,517	1,143,874
არამატერიალური აქტივები	13	14,664,141	9,956,458
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,352,582	25,708,406
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	5,168,001	2,568,408
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	501,355	2,968,145
წინასწარ გაწეული ხარჯები	11	4,798,398	224,918
საგადასახადო აქტივები	17	458,711	356,426
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	709,394	3,973,195
სულ მიმდინარე აქტივები		11,635,859	10,091,092
სულ აქტივები		53,988,441	35,799,498
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	19	1,699,019	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,699,019	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	19	811,333	161,611
ვალდებულება წილის გამოსყიდვასთან დაკავშირებით		-	1,269,753
მიღებული სესხები	21	5,518,832	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	5,729,173	7,759,134
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,059,338	9,190,498
სულ ვალდებულებები		13,758,357	9,190,498
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	88,855,000	64,915,000
აკუმულირებული ზარალი		(50,166,387)	(39,109,384)
სხვა კაპიტალი		1,181,230	519,228
არამაკონტროლებელი წილი		360,241	284,156
სულ კაპიტალი		40,230,084	26,609,000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		53,988,441	35,799,498

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:

ანდრო რატიანი
გენერალური დირექტორი

ნიკა მაღლაფერიძე
ფინანსური დირექტორი

დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და წილობრივ ინსტრუმენტებში	10	16,196,764	6,732,914
გუდვილი	14	7,875,160	7,875,160
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოიყენების უფლება	12	3,616,517	1,143,874
არამატერიალური აქტივები	13	14,664,141	9,956,458
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,352,582	25,708,406
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	5,168,001	2,568,408
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	501,355	2,968,145
წინასწარ გაწეული ხარჯები	11	4,798,398	224,918
საგადასახადო აქტივები	17	458,711	356,426
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	709,394	3,973,195
სულ მიმდინარე აქტივები		11,635,859	10,091,092
სულ აქტივები		53,988,441	35,799,498
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	19	1,699,019	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,699,019	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	19	811,333	161,611
ვალდებულება წილის გამოსყიდვასთან დაკავშირებით		-	1,269,753
მიღებული სესხები	21	5,518,832	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	5,729,173	7,759,134
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,059,338	9,190,498
სულ ვალდებულებები		13,758,357	9,190,498
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	88,855,000	64,915,000
აკუმულირებული ზარალი		(50,166,387)	(39,109,384)
სხვა კაპიტალი		1,181,230	519,228
არამაკონტროლებელი წილი		360,241	284,156
სულ კაპიტალი		40,230,084	26,609,000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		53,988,441	35,799,498

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:


ანდრო რატიანი
გენერალური დირექტორი


ნიკა მაღლაფერიძე
ფინანსური დირექტორი

დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სხვა კაპიტალი	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 22)	აკუმულირებული ზარალი	ჯგუფის კუთვნილი წილი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	39,953,000	(26,831,167)	13,121,833	-	13,121,833
წლის მთლიანი ზარალი	-	-	(12,278,217)	(12,278,217)	(199,504)	(12,477,721)
მაკონტროლებელი წილის შესყიდვის დროს, არამაკონტროლებელი წილის დამატება	-	-	-	-	483,660	483,660
აქციაზე დაფუძნებული გადახდა (თანამშრომლების ბონუსები)	519,228	-	-	519,228	-	519,228
კაპიტალის გაზრდა	-	24,962,000	-	24,962,000	-	24,962,000
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	519,228	64,915,000	(39,109,384)	26,324,844	284,156	26,609,000
წლის მთლიანი ზარალი	-	-	(10,572,332)	(10,572,332)	(77,366)	(10,649,698)
არამაკონტროლებელი წილის სრულად დამატება	-	-	(484,671)	(484,671)	153,451	(331,220)
აქციაზე დაფუძნებული გადახდა (თანამშრომლების ბონუსები)	662,002	-	-	662,002	-	662,002
კაპიტალის გაზრდა	-	23,940,000	-	23,940,000	-	23,940,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,181,230	88,855,000	(50,166,387)	39,869,843	360,241	40,230,084

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:


ანდრო რატიანი გენერალური დირექტორი	ნიკა მაღლაფერიძე ფინანსური დირექტორი
---------------------------------------	---


დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	სხვა კაპიტალი	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 22)	აკუმულირებული ზარალი	ჯგუფის კუთვნილი წილი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	39,953,000	(26,831,167)	13,121,833	-	13,121,833
წლის მთლიანი ზარალი	-	-	(12,278,217)	(12,278,217)	(199,504)	(12,477,721)
მაკონტროლებელი წილის შესყიდვის დროს, არამაკონტროლებელი წილის დამატება	-	-	-	-	483,660	483,660
აქციაზე დაფუძნებული გადახდა (თანამშრომლების ბონუსები)	519,228	-	-	519,228	-	519,228
კაპიტალის გაზრდა	-	24,962,000	-	24,962,000	-	24,962,000
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	519,228	64,915,000	(39,109,384)	26,324,844	284,156	26,609,000
წლის მთლიანი ზარალი	-	-	(10,572,332)	(10,572,332)	(77,366)	(10,649,698)
არამაკონტროლებელი წილის სრულად დამატება	-	-	(484,671)	(484,671)	153,451	(331,220)
აქციაზე დაფუძნებული გადახდა (თანამშრომლების ბონუსები)	662,002	-	-	662,002	-	662,002
კაპიტალის გაზრდა	-	23,940,000	-	23,940,000	-	23,940,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,181,230	88,855,000	(50,166,387)	39,869,843	360,241	40,230,084

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:


ანდრო რატიანი
გენერალური დირექტორი


ნიკა მაღლაფერიძე
ფინანსური დირექტორი

დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი დაბეგვრამდე		(9,997,837)	(12,194,395)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,13	1,770,652	1,108,565
წმინდა (მოგება)/ზარალი აქტივის გამოყენების უფლების გასვლიდან		4,070	-
ცვლილება რეალურ ღირებულებაში ფინანსურ აქტივებში	10	(6,987,425)	828,715
ინვესტიციის შეფასებიდან მიღებული შემოსავალი (არამაკონტროლებელი წილის მიღების დროს)		-	(503,275)
მოგება ინვესტიციის გაყიდვიდან		-	(77,539)
წმინდა საკურსო სხვაობა		(12,350)	66,605
საპროცენტო ხარჯი	19,21	217,723	22,709
საპროცენტო შემოსავალი		(90,960)	(454,662)
აქციაზე დაფუძნებული კომპენსაცია	22	662,002	519,228
საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	16	80,920	73,158
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი		65,644	-
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		(14,287,561)	(10,610,891)
(ზრდა) / შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,385,889	(2,654,983)
(ზრდა) / შემცირება სხვა აქტივებში		(4,573,479)	(165,578)
ზრდა / (შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		98,545	201,505
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივებში		(200,828)	(356,426)
(ზრდა) / შემცირება მარაგებში		(2,599,592)	(1,327,561)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,919,710)	3,414,061
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		(21,096,736)	(11,499,873)
გადახდილი მოგების გადასახადი		(651,861)	(995,506)
გადახდილი პროცენტები	19,21	(68,197)	(22,709)
მიღებული პროცენტი		90,960	454,662
წმინდა ფულის შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		(21,725,834)	(12,063,426)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიცია სხვა საწარმოებში		(2,476,425)	(1,252,300)
წილის რეალიზაციიდან მიღებული ფული		-	77,539
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფული		(5,393,241)	(3,598,017)
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული		(753,305)	(411,667)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	(4,165,418)
არამაკონტროლებელი წილის შესასყიდად გადახდილი ფული		(1,600,973)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(10,223,944)	(9,349,863)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
აქციების გამოშვება	22	23,940,000	24,962,000
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	19	(558,407)	(296,573)
სესხის აღება	21	6,900,000	-
სესხის ძირის დაფარვა	21	(1,530,693)	-
წმინდა ფულადი სახსრების გაძინება საფინანსო საქმიანობიდან		28,750,900	24,665,427
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(3,198,878)	3,252,138
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	11	(64,923)	(46,585)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18	3,973,195	767,642
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18	709,394	3,973,195

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:

ანდრო რატიანი
გენერალური დირექტორი


ნიკა მაღლაფერიძე
ფინანსური დირექტორი


დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი დაბეგვრამდე		(9,997,837)	(12,194,395)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,13	1,770,652	1,108,565
წმინდა (მოგება)/ზარალი აქტივის გამოყენების უფლების გასვლიდან		4,070	-
ცვლილება რეალურ ღირებულებაში ფინანსურ აქტივებში	10	(6,987,425)	828,715
ინვესტიციის შეფასებიდან მიღებული შემოსავალი (არამაკონტროლებელი წილის მიღების დროს)		-	(503,275)
მოგება ინვესტიციის გაყიდვიდან		-	(77,539)
წმინდა საკურსო სხვაობა		(12,350)	66,605
საპროცენტო ხარჯი	19,21	217,723	22,709
საპროცენტო შემოსავალი		(90,960)	(454,662)
აქციაზე დაფუძნებული კომპენსაცია	22	662,002	519,228
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	16	80,920	73,158
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი		65,644	-
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		(14,287,561)	(10,610,891)
(ზრდა) / შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,385,889	(2,654,983)
(ზრდა) / შემცირება სხვა აქტივებში		(4,573,479)	(165,578)
ზრდა / (შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		98,545	201,505
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივებში		(200,828)	(356,426)
(ზრდა) / შემცირება მარაგებში		(2,599,592)	(1,327,561)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,919,710)	3,414,061
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		(21,096,736)	(11,499,873)
გადახდილი მოგების გადასახადი		(651,861)	(995,506)
გადახდილი პროცენტები	19,21	(68,197)	(22,709)
მიღებული პროცენტი		90,960	454,662
წმინდა ფულის შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		(21,725,834)	(12,063,426)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიცია სხვა საწარმოებში		(2,476,425)	(1,252,300)
წილის რეალიზაციიდან მიღებული ფული		-	77,539
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფული		(5,393,241)	(3,598,017)
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული		(753,305)	(411,667)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	(4,165,418)
არამაკონტროლებელი წილის შესაყიდად გადახდილი ფული		(1,600,973)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(10,223,944)	(9,349,863)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
აქციების გამოშვება	22	23,940,000	24,962,000
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	19	(558,407)	(296,573)
სესხის აღება	21	6,900,000	-
სესხის ძირის დაფარვა	21	(1,530,693)	-
წმინდა ფულადი სახსრების გაძინება საფინანსო საქმიანობიდან		28,750,900	24,665,427
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(3,198,878)	3,252,138
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	11	(64,923)	(46,585)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18	3,973,195	767,642
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18	709,394	3,973,195

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 აგვისტოს:


ანდრო რატიანი
გენერალური დირექტორი


ნიკა მაღლაფერიძე
ფინანსური დირექტორი

დართული შენიშვნები 11-42 გვერდებზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „დიჯიტალ არეა“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს დახურულ სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2018 წლის 6 აგვისტოს. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 402096227.

ჯგუფის დაარსების დღიდან ეწევა ციფრულ პროდუქტებთან დაკავშირებულ საქმიანობას. ამჟამად ფლობს ონლაინ ვაჭრობის პლატფორმას, ასევე ახდენს მარაგების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, 2024 წელს ჯგუფი შევიდა ბილეთების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესში.

ჯგუფის მიერ ფლობილი წილები შვილობილ კომპანიებში არის შემდეგი:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2024	2023	საქმიანობის სახე
სს ექსტრა არეა	შვილობილი	100%	100%	ელ-კომერცია
შპს იზი ბოქს	შვილობილი	100%	100%	ლოგისტიკა
სს დელივერი	შვილობილი	100%	81.38%	ელ-კომერცია
სს ოპტიმო გლობალი	შვილობილი	100%	100%	ინვენტარიზაციის და მართვის სისტემა
OPTIMO FE LLC *	შვილობილი	100%	100%	ინვენტარიზაციის და მართვის სისტემა
თიქეთინგ არეა	შვილობილი	100%	100%	ელ-კომერცია
შპს ელ ბილეთები	შვილობილი	80%	83.33%	ელ-კომერცია

(*) კომპანია დაფუძნებულია უზბეკეთის კანონმდებლობის შესაბამისად, 100 % მფლობელს და დამფუძნებელს წარმოადგენს სს ოპტიმო გლობალი.

ზემოთ ნახსენები შვილობილი კომპანიები და მშობელი საწარმო ერთობლივად მოხსენიებულია როგორც „ჯგუფი“.

მშობელი საწარმოს სარეგისტრაციო მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზირი №41, მთავარი ოფისი მდებარეობს მის სარეგისტრაციო მისამართზე.

დაარსების დღიდან სს "ბიჯი ფაინანშიალი" არის მშობელი საწარმოს 100% წილის მფლობელი. მშობელი საწარმოს გენერალური დირექტორი არის ანდრო რატიანი. ჯგუფის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო.

(ბ) ბიზნეს გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასს) მიერ.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ინვესტიციებისა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებებით.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ართულამდე.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფის შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

გ) კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილ კომპანიას წარმოადგენს ისეთი საწარმო, სადაც მშობელ საწარმოს გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია.

შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ საწარმოზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი საწარმო კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შეძენის აღსარიცხად გამოიყენება შეძენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში რომელიც არ ეკუთვნის მშობელ საწარმოს. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი ჯგუფის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება მშობელი საწარმოს მფლობელებს.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილი არსებითი საადრიცხო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკუროსო მოგება ან ზარალი წერმოდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან“ ნეტო სიდიდით. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 USD/GEL	2.7208	2.6279
1 EUR/GEL	2.944	2.8416

(ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც ჯგუფი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების დროულობა

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს, ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ჯგუფი ქმნის ციფრულ ეკოსისტემას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ინტეგრირებულ პლატფორმას, რომელიც აძლიერებს მომხმარებელზე ორიენტირებას. ჯგუფის შემოსავლების წყარო არის შემდეგი:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

- ჯგუფმა შეიმუშავა და ყიდის მარაგების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას (OPTIMO). Optimo არის ინვენტარიზაციისა და გაყიდვების მართვის სისტემა ტრადიციული საცალო და ელექტრონული კომერციის ბიზნესებისთვის. Optimo-ს უახლესი ციფრული ინვენტარის მართვა და POS გადაწყვეტა ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფით და მრავალფეროვანი ფუნქციებითა და ანალიტიკური ინსტრუმენტები საშუალებას აძლევს ბიზნესს ადვილად მართონ გაყიდვები და მიიღონ წვდომა გაყიდვების ტრანზაქციებზე, მარაგებზე, მონაცემებზე და ცნობებზე, შემოსავლები და მომგებიანობა, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, დროული გადაწყვეტილებების მისაღებად შესაბამისი ინფორმაციით. ოპტიმო მოიცავს ოთხ ძირითად ბიზნეს ხაზს: პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი, მონაცემთა ბიზნესი, ბარათის ბიზნესი და დამატებული ღირებულების სერვისები. ამასთან ჯგუფი იღებს შემოსავლებს, მოწყობილობების გაყიდვიდან, რომელზეც შესაძლებელია ოპტიმოს სრული პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ოპტიმოს პლატფორმიდან გენერირებული შემოსავლების შემთხვევაში ჯგუფი ასრულებს principal-ის როლს, ვინაიდან მას აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს მომსახურების გასაყიდი ფასები. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებლებზე ოპტიმოს ლიცენზიების შეთავაზებით. ხოლო მოწყობილობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება სრულად დროის იმ მომენტში როდესაც ყველა ბენეფიტი და რისკი გადადის მყიდველზე. საკონტრაქტო ვალდებულება აღიარდება, როდესაც მომხმარებელი იხდის თანხას ან ჯგუფს აქვს უპირობო უფლება (მაგ: მოთხოვნები) მანამ, სანამ ჯგუფი მიაწვდის პროდუქტს ან გაუწევს მას მომსახურებას. ჯგუფი წარადგენს საკონტრაქტო ვალდებულებას, მაშინ როდესაც მოხდება გადახდა ან გადახდის ვადა მოახლოვდება (რომელიც ამათავს უფრო ადრე მოხდება). ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არის ჯგუფის ვალდებულება უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მომსახურება, რისთვისაც ჯგუფმა მიიღო ანაზღაურება (ან გადასახდელი თანხის ოდენობა) მომხმარებლისგან. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებითა და სხვა მსგავსი შედეგებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(დ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილებება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, სექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ე) გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(გ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ზ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შემენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში. თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(კ) ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში

ინვესტიციები იმ სხვა საწარმოთა კაპიტალში, სადაც სათაო ჯგუფს არ გააჩნია არც კონტროლი და არც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობაზე და პოლიტიკაზე, ბალანსში წარდგენილია ცალკე მუხლში და წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ასეთი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების ცვლილება აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. როდესაც კაპიტალში ინვესტიციებისთვის არ არსებობს ღია ბაზარზე კოტირებული ფასები, ასეთი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებით, რაც სხვადასხვა სახის დაშვებებს ეფუძნება. სამართლიანი ღირებულების ასეთ შეფასებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის დაშვებები, რაც შეფასებისას გამოიყენება, მათ შორის დისკონტირების შერჩეული განაკვეთები და შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების მოცულობების მომავალში ცვლილებების მოლოდინები და შესაბამისი პროგნოზები. შედეგად, ასეთი შეფასებები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ თანხისგან, რისი მიღებაც იქნებოდა შესაძლებელი ამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალიზაციიდან საანგარიშგებო თარიღში.

განუსაზღვრელობის დონე კიდევ უფრო იზრდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ინვესტიციები განხორციელებულია ახლად შექმნილ ტექნოლოგიურ სტარტაპებში, რადგან ამ შემთხვევებში არ არსებობს არც საკმარისი ხანგრძლივობის წინა პერიოდის საქმიანობის ისტორია და არც საიმედო საპროგნოზო ბიუჯეტები, რაზეც შესაძლებელი იქნებოდა საიმედო პროგნოზების გაკეთება მომავალი მოგებებისა თუ ფულადი ნაკადების შესახებ. აგრეთვე, ასეთ შემთხვევებში, უმეტესად არც იმის შეფასებაა საკმარისად საიმედოდ შესაძლებელი, თუ რამდენად წარმატებული იქნება დეველოპმენტის ფაზაში მყოფი პროდუქტი და რა იქნება მისი ფასი, ან რამხელა ბაზარი ექნება მას. ჯგუფს თითოეული ინვესტიციის მიმართ, გამომდინარე მათი განსხვავებული ბიზნეს სპეციფიკისა, შემუშავებული აქვს ინდივიდუალური საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელთაც ხდება აღნიშნული ინვესტიციების შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ლ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

ჯგუფის ხემძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები“ (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულს და ფულის ეკვივალენტები) და „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ (ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ლ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

ჯგუფის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით ჯგუფის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ლ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ინვესტიციები სხვა კომპანიის კაპიტალში

წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ყველა ინვესტიცია და ამგვარ ინვესტიციებზე დადებული ხელშეკრულებები ფასდება რეალური ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივების აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ლ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვეთება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(მ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ნ) იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ნ) იჯარები (გაგრძელება)

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ნ) იჯარები (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში,
- რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას,

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ნ) იჯარები (გაგრძელება)

ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. შემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

(პ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(პ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ჟ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(რ) სამართლიანი ღირებულების დადგენა

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(რ) სამართლიანი ღირებულების დადგენა (გაგრძელება)

ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.

- ▶ დონე 1 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასები აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებზეც ჯგუფს აქვს წვდომა გაზომვის თარიღამდე. ჯგუფს მხოლოდ მაშინ მიაჩნია ბაზარი აქტიურად თუ არსებობს სათანადო სავაჭრო საქმიანობები შესაბამისი მოცულობითა და ლიკვიდურობით იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების და როდესაც საბალანსო თარიღისთვის ხელმისაწვდომია სავალდებულო და გამოყენებადი ფასების კვოტები. მონაცემები რომლებიც გამოყენებულ იქნა შეფასებაში არის დაუკორექტირებელი კოტირებული ფასი, აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებსაც ჯგუფს აქვს წვდომა გაზომვის თარიღთან.
კომპანია აქტიურად მიიჩნევს ბაზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი სავაჭრო საქმიანობა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოცულობისა და ლიკვიდურობის თვალსაზრისით და როდესაც არსებობს ბალანსის თარიღის სავალდებულო და განხორციელებადი ფასები.
- ▶ დონე 2 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები და რომლებიც არის არსებითი, გამომდინარეობს უშუალოდ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ასეთი საშუალებები მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის მრუდი, ნაგულისხმევი ცვალებადობა და სავრედიტო სპრედი.
- ▶ დონე 3 ფინანსური ინსტრუმენტები - ისინი რომლებიც მოიცავენ ერთს ან მეტ არასაბაზისო მონაცემებს რომელიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის.

(ს) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ტ) ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

(უ) ახალი, შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ქვემოთ მითითებულია სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან და ასევე ახალი სტანდარტები რომელთა ადრეული გამოყენების შესაძლებლობა აქვს კომპანიას.

შესწორებები ფასს 16-ში – სალიზინგო ვალდებულება გაყიდვა-უკუიჯარის (Sale and Leaseback) ოპერაციაში. ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებიც უნდა გამოიყენოს გამყიდველ-მოიჯარე

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(უ) ახალი, შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

სალიზინგო ვალდებულების გასაზომად გაყიდვა-უკუიჯარის ოპერაციაში. ეს ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ გამყიდველი-მოიჯარე არ აღიარებს რაიმე მოგებას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გამოყენების უფლების შენარჩუნებასთან.

შესწორებები ბასს 1-ში – ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარედ ან არამიმდინარედ ბასს 1-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს მოთხოვნებს ვალდებულებების მიმდინარედ ან არამიმდინარედ კლასიფიკაციისთვის. შესწორებები განმარტავს:

- რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს;
- რომ კლასიფიკაცია არ განისაზღვრება იმის ალბათობით, რომ კომპანია გამოიყენებს თავის გადავადების უფლებას;
- რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებადი ვალდებულების ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს კაპიტალის ინსტრუმენტს, შეიძლება ვალდებულების პირობებს გავლენა არ ჰქონდეს მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს, როდესაც სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც არამიმდინარედ და გადავადების უფლება დამოკიდებულია მომავალი კოვენანტების შესრულებაზე მომდევნო თორმეტ თვეში.

მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები – ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტების შესწორებები:

შეტანილი შესწორებები განმარტავს მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებს და მოითხოვს დამატებით გამჟღავნებას მსგავსი შეთანხმებებისა.

გამჟღავნების მოთხოვნები შეტანილ შესწორებებში მიზნად ისახავს დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გაიგონ, თუ როგორ აისახება მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები ორგანიზაციის ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობის რისკზე.

აღნიშნულ ცვლილებებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა თუმცა ჯერ არ შესულა ძალაში

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში. გამომდინარე იქედან რომ კომპანიას ყველა ტრანზაქცია ნომინირებული გასცლისუნიან მქონე ვალუტაში, შესაბამისად მის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს, ზემოთ მოხსენიებული ცვლილება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადები

არამატერიალური აქტივები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა და შეფასების პროცესი

სხვა კომპანიაებში განხორციელებული ინვესტიციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ამ აქტივების ხასიათიდან გამომდინარე, მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება ხელმძღვანელობისგან გარდაუვლად მოითხოვს მნიშვნელოვან, კომპლექსურ მსჯელობებს და სხვადასხვა საპროგნოზო მაჩვენებლების დაშვებების გამოყენებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. ჯგუფს სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნებისთვის თითოეული ინვესტიციის მიმართ შემუშავებული აქვს საკონტროლო მაჩვენებლები, რომელთა საფუძველზე ახდენს ანალიზს.

სს „დიჯიტალ არეა“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ამონაგები

ჯგუფის 2024 და 2023 წლების ამონაგები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	23,907,490	12,548,459
საკომისიო შემოსავალი	118,801	103,292
შემოსავალი რეკლამის განთავსებებიდან	64,265	60,510
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8,465	27,458
სულ ამონაგები	24,099,021	12,739,719

6. თვითღირებულება

ჯგუფის 2024 და 2023 წლების თვითღირებულება მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
რეალიზაციის თვითღირებულება	17,968,592	11,172,975
არამატერიალური აქტივის ამორტიზება	603,989	389,113
სულ თვითღირებულება	18,572,581	11,562,088

7. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

ჯგუფის 2024 და 2023 წლების დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
სარეკლამო დანახარჯები	4,416,431	1,561,512
სატრანსპორტო დანახარჯები	603,183	499,999
სხვა მარკეტინგული ხარჯები	167,665	67,475
სულ დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	5,187,279	2,128,986

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის 2024 და 2023 წლების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	11,053,808	7,753,136
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	1,351,245	755,933
ცვეთის ხარჯი	1,121,341	690,355
ბანკის საკომისიოები	585,838	415,266
ლიცენზიისა და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	459,734	293,808
ვებ-გვერდის მიმდინარე ხარჯი	405,272	245,196
წარმომადგენლობითი ხარჯი	358,775	92,708
კომუნალური ხარჯი	349,812	270,891
მოკლევადიანი იჯარა	213,837	151,939
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	80,920	73,158
ამორტიზაციის ხარჯი	45,323	29,097
დაზღვევის ხარჯი	20,792	24,714
სხვა ხარჯი	1,108,486	510,270
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17,155,183	11,306,471

სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ჯგუფის 2024 და 2023 წლების ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან	90,960	454,662
მთლიანი ფინანსური შემოსავალი	90,960	454,662
საპროცენტო ხარჯები სალიზინგო ვალდებულებებზე	(49,983)	(22,709)
საპროცენტო ხარჯები მიღებულ სესხებზე	(167,740)	-
მთლიანი ფინანსური ხარჯი	(217,723)	(22,709)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	(126,763)	431,953

10. ინვესტიციები

ჯგუფის გააჩნია შემდეგი ინვესტიციები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კომპანია	შეფასების მეთოდი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ინვესტიციები ტექნოლოგიურ სტარტაპებში **	რეალური ღირებულება	2,164,302	1,313,719
500 Startups Management Company-ზე სამართავად გადაცემული ინვესტიციები ***	რეალური ღირებულება	14,032,462	5,419,195
სულ ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში		16,196,764	6,732,914
სულ ინვესტიციები		16,196,764	6,732,914

(*) კომპანიას აქვს ინვესტიციები 13 სხვა კომპანიის კაპიტალში, სადაც კომპანიის წილი მცირეა და არ აქვს არც კონტროლი და არც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მათ საქმიანობაზე და ფინანსურ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, ეს კომპანიები არ არის კლასიფიცირებული, როგორც შვილობილი ან მეკავშირე კომპანიები. მსგავსი ტიპის ინვესტიციები ძირითადად ტექნოლოგიურ სტარტაპებშია.

(**) კომპანიამ 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში გააფორმა შეზღუდული პარტნიორობის ხელშეკრულება 500 Startups Management Company, L.L.C -თან და პარტნიორული შეთანხმებით შექმნეს - 500 GEORGIA, L.P. A DELAWARE LIMITED PARTNERSHIP-ი. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ კომპანიაში ინვესტიციების ოდენობა შეადგენს 4,999,452 დოლარსა და 2,025,020 დოლარს.

ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში (წილობრივი ინსტუმენტები) მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთი 1 იანვარს	6,732,914	5,405,794
კაპიტალის ზრდა	2,477,890	2,155,835
აფასება	13,243,736	-
ჩამოფასება	(6,257,776)	(828,715)
31 დეკემბერი	16,196,764	6,732,914

11. წინასწარ გაწეული ხარჯები

ჯგუფის წინასწარ გადახდების უდიდესი ნაწილი მოდის ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ შვილობილ კომპანიაზე, რომელიც სთავაზობს ღონისძიებების ორგანიზატორებს ელექტრონული ბილეთების გაყიდვის მომსახურებას და ფუნქციონირებს როგორც გაყიდვების პლატფორმა. კომპანია მათ წინასწარ უხდის მომავალი ღონისძიებების თანხებს.

სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	აქტივის გამოყენების უფლება	კომპიუტერები საოფისე ტექნიკა	სხვა ოფისის აღჭურვილობა	ავტომობილები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება							
დეკემბერი 31, 2022	1,243,636	374,462	269,451	137,802	657,146	75,470	2,757,967
შემოსვლა შვილობილის შემენისას	-	-	121,610	75,509	126,939	55,627	379,685
შემოსვლა	-	76,094	213,822	101,774	20,102	5,865	417,657
გასვლა	-	(4,013)	(7,267)	-	-	-	(11,280)
დეკემბერი 31, 2023	1,243,636	446,543	597,616	315,085	804,187	136,962	3,544,029
შემოსვლა	2,891,780	298,471	156,628	38,000	260,205	-	3,645,084
გასვლა	(211,520)	(19,362)	(70,600)	(29,789)	(139,940)	(17,524)	(488,735)
დეკემბერი 31, 2024	3,923,896	725,652	683,644	323,296	924,452	119,438	6,700,378
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება							
დეკემბერი 31, 2022	763,150	207,251	139,414	47,917	382,380	43,829	1,583,941
შემოსვლა შვილობილის შემენისას	-	-	60,859	14,976	39,811	15,503	131,149
მიმდინარე წლის ცვეთა	312,039	80,964	83,584	37,278	153,678	22,812	690,355
ცვეთის ჩამოწერა	-	(68)	(5,222)	-	-	-	(5,290)
დეკემბერი 31, 2023	1,075,189	288,147	278,635	100,171	575,869	82,144	2,400,155
წლის ცვეთა	602,611	121,541	106,276	63,072	178,258	13,338	1,085,096
გასვლა	(189,818)	(10,174)	(68,073)	(23,376)	(92,425)	(17,524)	(401,390)
დეკემბერი 31, 2024	1,487,982	399,514	316,838	139,867	661,702	77,958	3,083,861
წმინდა საბალანსო ღირებულება							
დეკემბერი 31, 2023	168,447	158,396	318,981	214,914	228,318	54,818	1,143,874
დეკემბერი 31, 2024	2,435,914	326,138	366,806	183,429	262,750	41,480	3,616,517

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფის აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებას, რომლებიც მოიცავს ფართის იჯარას. საიჯარო ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-19 განმარტებითი შენიშვნა.

სს „დელოვალ არეა“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მარაგების მართვის პროგრამა	გაყიდვების მართვის პროგრამა*	სულ
ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	2,310,689	3,980,703	6,291,392
შემოსვლა	-	1,005,299	1,005,299
შემოსვლა შვილობილის შეძენისას	989,528	2,608,489	3,598,017
2023 წლის 31 დეკემბერი	3,300,217	7,594,491	10,894,708
შემოსვლა	1,154,822	4,238,417	5,393,239
2024 წლის 31 დეკემბერი	4,455,039	11,832,908	16,287,947
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება			
2022 წლის 31 დეკემბერი	187,264	256,973	444,237
შემოსვლა შვილობილის შეძენისას	-	75,803	75,803
მიმდინარე წლის ამორტიზება	157,370	260,840	418,210
2023 წლის 31 დეკემბერი	344,634	593,616	938,250
მიმდინარე წლის ამორტიზება	227,986	457,570	685,556
2024 წლის 31 დეკემბერი	572,620	1,051,186	1,623,806
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	2,955,583	7,000,875	9,956,458
2024 წლის 31 დეკემბერი	3,882,419	10,781,722	14,664,141

* აღნიშნული გაყიდვების მართვის პროგრამა წარმოადგენს შვილობილ კომპანიების კუთვნილ აქტივებს, რომელთა გამოყენება ხდება გაყიდვების სისტემის სამართავად (მათი ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე). მათ შორის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის შპს „ექსტრა არეა“-ს არამატერიალურ აქტივს რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია 7,980,150 ლარით. (2023 წელი - 5,382,089 ლარი)

14. ბიზნეს კომბინაცია

2023 წლის 25 მაისს, ჯგუფმა შეიძინა სს დელივერის-ის 45.63%-იანი აქციები, ხმის მიცემის უფლებით. სს დელივერი წარმოადგენს ონლაინ სასურსათო სავაჭრო პლატფორმას საქართველოში. ჯგუფს მაკონტროლებელი წილის შეძენამდე ეკუთვნოდა 34.37%-იანი წილი კომპანიაში და შესაბამისად აღრიცხული იყო როგორც მეკავშირე კომპანიის ინვესტიცია. ზემოაღნიშნული ტრანზაქციის შემდეგ, წილი გაიზარდა 80%-მდე, რამაც ჯგუფს მისცა კომპანიის მართვის უფლება. კომპანია შეძენის მიზანი იყო სწრაფი კომერციის ბაზარზე შესვლა.

ჯგუფმა ამავდროულად დადო შეთანხმება ერთ-ერთ არამაკონტროლებელი წილის მფლობელთან (NCI), რომლის მიხედვითაც მხარეები შეთანხმდნენ დამატებით 15.58%-იანი წილის გაყიდვა/შეძენაზე. შედეგად, ჯგუფმა აღიარა შესაბამისი ვალდებულება NCI-ის მიმართ, ბიზნეს კომბინაციის ფარგლებში, მომავალი გადახდის პირობით.

ჯგუფმა აირჩია არამაკონტროლებელი წილების შეფასება პროპორციულად შეძენილი წმინდა აქტივების წილით.

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

სს „დელივერის“ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისთვის იყო:

ბიზნეს კომბინაცია (გაგრძელება)

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	467,676
სასაქონლო მატერიალური მარაგები	301,690
ძირითადი საშუალებები	263,101
არამატერიალური აქტივები	181,553
სხვა აქტივები	64,865
	1,278,885

ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება	(352,960)
სხვა ვალდებულებები	(1,223)
	(354,183)

მთლიანი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები რეალური ღირებულებით

წმინდა აქტივების პროპორციული წილით შეფასებული არამაკონტროლებელი წილი	(41,935)
მეკავშირე საწარმოს შეწყვეტის მომენტში ინვესტიციის რეალური ღირებულება	(2,309,275)
სამომავლო ვალდებულება არამაკონტროლებელი წილის შესყიდვაზე	(1,269,753)
შემდგომი წარმოქმნილი გუდვილი	5,742,058
შესყიდვის შედეგი	3,045,797

2024 წლის 10 იანვარს ჯგუფმა მოახინა შეთახმებით განსაზღვრული 15.58 % წილის შეძენა, ასევე დამატებით შეიძინა დარჩენილი 4.42 % არამაკონტროლებელი წილი და გახდა 100% წილის მფლობელი. იხილეთ საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.

2023 წლის 29 სექტემბერს ჯგუფმა დამატებით შეიძინა შპს ელ.ბილეთების 80% წილი, ელექტრონული ბილეთების გაყიდვის პლატფორმა, ელექტრონული ბილეთების ბაზარზე შესვლის მიზნით. ჯგუფმა აირჩია შეძენილში დარჩენილი არასაკონტროლო წილების შეფასება შეძენილი წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შპს „ელ.ბილეთების“ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეძენის თარიღისთვის იყო:

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	595,335
ძირითადი საშუალებები	19,346
არამატერიალური აქტივები	744,657
სხვა აქტივები	585,898
	1,945,236

ვალდებულებები

მიღებული ავანსები	(705,816)
კრედიტორული დავალიანება	(30,797)
	(736,613)

მთლიანი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები რეალური ღირებულებით

წმინდა აქტივების პროპორციული წილით შეფასებული არამაკონტროლებელი წილი	(241,725)
შემდგომი წარმოქმნილი გუდვილი	2,133,102
შესყიდვის შედეგი	3,100,000

მშობელმა კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩაატარა საწარმოს გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილის გაუფასურების ტესტირება და ინდიკატორები ვერ იქნა დადგენილი. მსჯელობისას ჯგუფის მენეჯმენტმა გაითვალისწინა გარემოებები, არსებული ფინანსური შედეგები და სამომავლო გეგმები შესყიდულ კომპანიებთან მიმართებით.

სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ხელსაწყოები მომხმარებელთან	623,292	632,872
ხელსაწყოები საკუთარ საწყობში	7,451	57,018
გასაყიდად გამიზნული მარაგები	4,457,065	1,816,059
სხვა სასაქონლო მარაგები	80,193	62,459
სულ მარაგები	5,168,001	2,568,408

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	655,433	3,041,303
სულ გაუფასურების რეზერვამდე	655,433	3,041,303
გაუფასურების რეზერვი	(154,078)	(73,158)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501,355	2,968,145

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	(73,158)	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(84,162)	(73,158)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება	3,242	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(154,078)	(73,158)

2024 წლის 31 დეკემბერი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	501,355	0%	-	501,355
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	154,078	100%	(154,078)	-
	655,433		(154,078)	501,355

2023 წლის 31 დეკემბერი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	რეზერვის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	2,968,145	0%	-	2,968,145
	73,158	100%	(73,158)	-
	3,041,303		(73,158)	2,968,145

17. დაბეგვრა

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2017 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 და 2022 წლებში, ჯგუფს მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია, თუმცა ჯგუფმა მოგების გადასახადი გადაიხადა არარეზიდენტ კომპანიაში ინვესტიციების განთავსებაზე 15%-ის ოდენობით, 2024 და 2023 წლების ზემოაღნიშნული მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისად შეადგენს 651,861 ლარსა და 283,326 ლარს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფი საგადასახადო კანონმდებლობასთან არსებით შესაბამისობაშია, რაც აისახება მის საქმიანობაზე. თუმცა, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა შეიძლება განსხვავებული პოზიცია დაიკავონ განმარტებით საკითხებთან მიმართებაში. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებს წარმოადგენს: საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკები.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკებში	287,946	3,197,161
საბანკო ანგარიშები	393,662	766,302
ფული სალაროში	27,786	9,732
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	709,394	3,973,195

საბანკო დეპოზიტი წარმოადგენს მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად გარდაიქმნება ნაღდ ფულად და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს და აქვს 3 თვემდე ვადა. აღნიშნული მოკლევადიანი დეპოზიტებიდან ჯგუფმა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დააგენერირა 90,960 ლარი (2023: 454,662)

სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024	2023
1 იანვარი მდგომარეობით	161,611	477,708
იჯარის დამატება	2,891,781	-
დარიცხული პროცენტი	49,983	22,709
საკურსო სხვაობის ეფექტი	32,998	(19,524)
გადახდილი ძირი	(558,407)	(296,573)
გადახდილი პროცენტი	(49,982)	(22,709)
გასვლა	(17,632)	-
31 დეკემბერი მდგომარეობით	2,510,352	161,611

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა დამატებით იჯარით აიღოს აღებული საოფისე სივრცე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს რაიმე ინდექსზე ან განაკვეთზე (მაგალითად ჯგუფის გაყიდვების მოცულობაზე) დამოკიდებულ ცვლად გადასახდელებს. საიჯარო ხელშეკრულებების დარჩენილი ვადა არის 1-5 წლამდე და ხელშეკრულებაში არ არის ავტომატური გაგრძელების ოფცია. საიჯარო ხელშეკრულება ზღუდავს საიჯარო ფართის ქვეიჯარით გაცემის შესაძლებლობას, ჯგუფი ვალდებულია შეინარჩუნოს იჯარით აღებული საოფისე სივრცე კარგ მდგომარეობაში და ვადის ამოწურვის შემდეგ დაუბრუნოს მოიჯარეს თავდაპირველ მდგომარეობაში, ბუნებრივი ცვლის გათვალისწინებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 3.1%-ს და ხელშეკრულებით გადახდელები წარმოდგენილია აშშ დოლარში.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	4,530,219	3,826,955
საკონტრაქტო ვალდებულებები	700,698	587,243
სახელფასო ვალდებულებები	482,406	397,424
სხვა ვალდებულება	10,841	44,015
მიღებული ავანსები	5,009	479,442
ინვესტიციებთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	2,424,055
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,729,173	7,759,134

21. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ბანკი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	12/31/2024	12/31/2023
სს საქართველოს ბანკი	10/22/2024	10/21/2025	14.05	GEL	3,009,253	-
სს საქართველოს ბანკი	10/22/2024	10/22/2025	14.05	GEL	2,509,579	-
Total					5,518,832	

21. მიღებული სესხები (გაგრძელება)

	2024	2023
1 იანვარი	-	-
ფულადი ნაკადები:		
სესხის აღება	6,900,000	
მიღებული სესხის ძირის გადახდა	(1,530,693)	
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(18,215)	
არაფულადი ნაკადები:		
საპროცენტო ხარჯი	167,740	
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	-	
31 დეკემბერი	5,518,832	-

22. კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის გამოშვებული და გადახდილი სააქციო კაპიტალი შესაბამისად შეადგენს 88,855,000 ლარსა (391,979,978 ცალი ჩვეულებრივი აქცია) და 64,915,000 ლარს (196,343,452 ცალი ჩვეულებრივი აქცია).

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა მის თანამშრომლებზე გაანაწილა კაპიტალი, ბონუსის თანხის სანაცვლოდ, რამაც 2024 წელს შეადგენა 662,002 ლარი. (2023 წელი - 519,228 ლარი)

23. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

22. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულებით წარდგენილი		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501,355	2,968,145
ფული და ფულის ეკვივალენტები	709,394	3,973,195
სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი		
ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში	16,196,764	6,732,914
სულ ფინანსური აქტივები	17,407,513	13,674,254
საიჯარო ვალდებულებები	2,510,352	161,611
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,023,466	6,692,449
მიღებული სესხები	5,518,832	
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,052,650	6,854,060

ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფს ზოგიერთი ოპერაცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ (თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით)

31 დეკემბერი, 2024	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	60	77,319	77,379
სულ ფინანსური აქტივები	60	77,319	77,379
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	-	997,171	997,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	78,914	63,435	142,349
სულ ფინანსური ვალდებულებები	78,914	1,060,606	1,139,520
ღია სავალუტო პოზიცია	(78,854)	(983,287)	(1,062,141)

31 დეკემბერი, 2023	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	662	179,558	180,220
სავაჭრო მოთხოვნები	-	263,013	263,013
სულ ფინანსური აქტივები	662	442,571	443,233
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	-	161,611	161,611
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,539	904,616	914,155
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,539	1,066,227	1,075,766
ღია სავალუტო პოზიცია	(8,877)	(623,656)	(632,533)

22. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 20% ით (2023: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	2024		2023	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(196,657)	196,657	(124,731)	124,731
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	(15,771)	15,771	(1,775)	1,775

ზემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლება ჯგუფის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმოსადგენად და ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია

ლიკვიდურობის რისკი

ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ჯგუფის ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,023,466	-	5,023,466
საიჯარო ვალდებულებები	811,333	1,699,019	2,510,352
მიღებული სესხები	5,518,832		5,518,832
სულ	11,353,631	1,699,019	13,052,650

ჯგუფის ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,692,449	-	6,692,449
საიჯარო ვალდებულებები	161,611	-	161,611
სულ	6,854,060	-	6,854,060

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც ჯგუფ წარმოადგენს საწარმოს;
- გ) ჯგუფის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (ბ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	497,670	3,409,505
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-
	497,670	3,409,505
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	5,518,832	-
	5,518,832	-

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2024	2023
შემოსავლები	121,721	17,859
ბანკის საკომისიოები	55,802	390,217
საპროცენტო შემოსავლები	90,960	122,291
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა	716,707	258,333
საპროცენტო ხარჯი	167,740	-

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფის კაპიტალი 2024 წლის განმავლობაში გაზრდილია 15,000,000 ლარით სს ბიჯი ფაინანშიალის მიერ

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.



სს „დიჯიტალ არეა“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სს "დიჯიტალ არეა"

ს/ნ 402096227

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზირი №41

საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

ქვემოთ წარმოდგენილია სს „დიჯიტალ არეა“-ს მმართველობითი ანგარიშგება, რომელშიც აღწერილია კომპანიის საოპერაციო გარემო, ბიზნეს მოდელი, ძირითადი საქმიანობა, ფინანსური შედეგები, მასთან დაკავშირებული რისკები და სამომავლო გეგმები.

გარემო

- ჯგუფი ბიზნეს საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფი ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებს, რომლებსაც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები აქვს.
- სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა მუდმივი განვითარების პროცესშია. ხშირია განსხვავებული ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად ქმნის დიდ გამოწვევებს საქართველოში მოქმედი სუბიექტებისათვის. ამ ცვლილებებზე დიდწილად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება.
- კომპანიის ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ ქართული ბიზნეს გარემოს კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას.

კომპანიის შესახებ

სს „დიჯიტალ არეა“ (შემდგომში, „კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 6 აგვისტოს, როგორც სააქციო საზოგადოება („სს“), საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. დაარსების თარიღისთვის, კომპანია რეგისტრირებულ იქნა, როგორც სს „პოლიმათ ჯგუფი“, თუმცა, 2019 წლის მაისში შეიცვალა დასახელება და გახდა სს „დიჯიტალ არეა“. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური ციფრული პროექტების განვითარება. ჯგუფი ფლობს მარაგების მართვის სისტემა Optimo-ს, რომელიც ამოქმედდა 2019 წელს. ოპტიმო არის ბიზნესის მართვისა და აღრიცხვის თანამედროვე ციფრული ხელსაწყო, რომელშიც ერთ სივრცეშია თავმოყრილი ძირითადი ინფორმაცია ბიზნესის შესახებ. ჯგუფი ასევე ფლობს ელექტრონული კომერციის პლატფორმას, სადაც ერთის მხრივ, საქართველოში რეგისტრირებულ 550-ზე მეტ კომპანიას აძლევს შესაძლებლობას გაყიდოს საკუთარი პროდუქტი და მეორეს მხრივ, საქართველოს მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტს ერთ სივრცეში. 2023 წელს სს „დიჯიტალ არეამ“ შეისყიდა შპს „ელ ბილეთები“. 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში გააფორმა შეზღუდული პარტნიორობის ხელშეკრულება 500 Startups Management Company, L.L.C-თან და პარტნიორული შეთანხმებით შექმნეს - 500 GEORGIA, L.P. A DELAWARE LIMITED PARTNERSHIP. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯი ფაინანშიალი“ იყო სს „დიჯიტალ არეას“ 100%-ის მფლობელი ფუნქციონირებადი საწარმო

სს „დიჯიტალ არეას“ ხელმძღვანელობის წევრების შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვას კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნებ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

კომპანიის ღირებულებები

- კომპანიის ძირითადი მიზანია, ტრადიციული ბიზნესპროცესების გაციფრულებით, მომხმარებელს ახალი, მარტივი და საინტერესო გამოცდილების მიღებაში დაეხმაროს.
- აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჯგუფი ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:
- პასუხისმგებლობა, მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად ვემსახუროთ თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- პროფესიონალიზმი - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- გუნდური სულისკვეთება - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

ბიზნეს მოდელი

დიჯიტალ არეას ეკოსისტემაში შემავალი კომპანიებია:

დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	წილობრივი თანამონაწილეობა (12/31/2024-ის მდგომარეობით)
სს „ექსტრა არეა“	402129763	100%
სს „ოპტიმო გლობალ“	405576372	100%
სს „დელივერი“	405243838	100%
შპს „იზი ბოქსი“	405428755	100%
შპს „ელ.ბილეთები“	205268869	80%

Optimo _ გაყიდვების და მარაგების მართვის სისტემაა. 2022 წელს სს დიჯიტალ არეამ დაარსა სს ოპტიმო გლობალი, რომელმაც 2023 წლის 31 აგვისტოს დააფუძნა Optimo FE LLC - კომპანიის მთავარი საქმიანობა უკავშირდება გაყიდვების და მარაგების სისტემას უზბეკეთის ბაზარზე.

ექსტრა არეა იგივე Extra.ge წარმოადგენს ელექტრონული კომერციის პლატფორმას. შპს „იზი ბოქსის“ ძირითადი საქმიანობა არის კურიერული მომსახურება. სს „დელივერი“ იგივე ყოფილი Moitane.ge არის სასურსათე ონლაინ მაღაზია - 2024 წლიდან სს „დიჯიტალ არეა“ გახდა მისი 100%-იანი მფლობელი.

შპს „ელ ბილეთები“ იგივე biletebi.ge - ელექტრონული ვაჭრობის დარგს მიეკუთვნება, მისი მთავარი საქმიანობა დაკავშირებულია ბილეთების გაყიდვასთან.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და წილობრივ ინსტრუმენტებში	16,196,764	6,732,914
გუდვილი	7,875,160	7,875,160
ძირითადი საშუალებები	3,616,517	1,143,874
არამატერიალური აქტივები	14,664,141	9,956,458
სულ გრძელვადიანი აქტივები	42,352,582	25,708,406
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	5,168,001	2,568,408
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501,355	2,968,145
წინასწარ გაწეული ხარჯები	4,798,398	224,918
საგადასახადო აქტივები	458,711	356,426
ფული და ფულის ეკვივალენტები	709,394	3,973,195
სულ მიმდინარე აქტივები	11,635,859	10,091,092
სულ აქტივები	53,988,441	35,799,498
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	1,699,019	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,699,019	-
მიმდინარე ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	811,333	161,611
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
ვალდებულება წილის გამოსყიდვასთან დაკავშირებით	5,518,832	1,269,753
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,729,173	7,759,134
სულ მიმდინარე ვალდებულებები	12,059,338	9,190,498
სულ ვალდებულებები	13,758,357	9,190,498
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	88,855,000	64,915,000
აკუმულირებული ზარალი	(50,166,387)	(39,109,384)
სხვა კაპიტალი	1,181,230	519,228
არამაკონტროლებელი წილი	360,241	284,156
სულ კაპიტალი	40,230,084	26,609,000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	53,988,441	35,799,498

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	24,099,021	12,739,719
თვითღირებულება	(18,572,581)	(11,562,088)
საერთო მოგება	5,526,440	1,177,631
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(5,187,279)	(2,128,986)
ადმინისტრაციული ხარჯები	(17,155,183)	(11,306,471)
საოპერაციო ზარალი	(16,816,022)	(12,257,826)
ფინანსური შემოსავალი	90,960	454,662
ფინანსური ხარჯები	(217,723)	(22,709)
ინვესტიციების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	-	77,539
სხვა კომპანიების კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ცვლილება ფინანსური აქტივებისათვის	6,987,425	(828,715)
ინვესტიციის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	-	503,275
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	130,791	348,154
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(185,618)	(402,170)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთრო სხვაობიდან	12,350	(66,605)
ზარალი დაზღვევამდე	(9,997,837)	(12,194,395)
მოგების გადასახადის ხარჯი	(651,861)	(283,326)
წლის წმინდა ზარალი	(10,649,698)	(12,477,721)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული ხარჯი	(10,649,698)	(12,477,721)
		-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:		
მშობელი საწარმოს მფლობელებს	(10,572,332)	(12,278,217)
არამაკონტროლებელი წილი*	(77,366)	(199,504)
	(10,649,698)	(12,477,721)

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	სხვა კაპიტალი	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებ ული ზარალი	ჯგუფის კუთვნილი წილი	არამაკ ონტრო ლებელ ი წილი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	39,953,000	(26,831,167)	13,121,833	-	13,121,833
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(12,278,217)	(12,278,217)	(199,504)	(12,477,721)
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	519,228	-	-	519,228	-	519,228
კაპიტალის გაზრდა	-	24,962,000	-	24,962,000	-	24,962,000
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	519,228	64,915,000	(39,109,384)	26,324,844	284,156	26,609,000
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(10,572,332)	(10,572,332)	(77,366)	(10,649,698)
არამაკონტროლებელი წილის შემოსვლა	-	-	(484,671)	(484,671)	153,451	(331,220)
აქციაზე დაფუძნებული გადახდა (თანამშრომლების ბონუსები)	662,002	-	-	662,002	-	662,002
კაპიტალის გაზრდა	-	23,940,000	-	23,940,000	-	23,940,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,181,230	88,855,000	(50,166,387)	39,869,843	360,241	40,230,084

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის ზარალი დაბეგვრამდე	(9,997,837)	(12,194,395)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,770,652	1,108,565
არამატერიალური აქტივის გაუფასურება	4,070	-
ცვლილება რეალურ ღირებულებაში ფინანსურ აქტივებში	(6,987,425)	828,715
ინვესტიციის შეფასებიდან მიღებული შემოსავალი (არამაკონტროლებელი წილის მიღების დროს)	-	(503,275)
მოგება ივესტიციის გაყიდვიდან	-	(77,539)
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(12,350)	-
წმინდა საკურსო სხვაობა	217,723	66,605
საპროცენტო ხარჯი	(90,960)	22,709
საპროცენტო შემოსავალი	662,002	(454,662)
აქციაზე დაფუძნებული კომპენსაცია	80,920	519,228
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	65,644	73,158
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	(14,287,561)	(10,610,891)
(ზრდა) / შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,385,889	(2,654,983)
(ზრდა) / შემცირება სხვა აქტივებში	(4,573,479)	(165,578)
ზრდა / (შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	98,545	201,505
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივებში	(200,828)	(356,426)
(ზრდა) / შემცირება მარაგებში	(2,599,592)	(1,327,561)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,919,710)	3,414,061
ზრდა / (შემცირება) საკონტრაქტო ვალდებულებებში	-	-
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე	(21,096,736)	(11,499,873)
გადახდილი მოგების გადასახადი	(651,861)	(995,506)
გადახდილი პროცენტები	(68,197)	(22,709)
მიღებული პროცენტი	90,960	454,662
წმინდა ფულის შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	(21,725,834)	(12,063,426)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიცია სხვა საწარმოებში	(2,476,425)	(1,252,300)
წილის რეალიზაციიდან მიღებული ფული	-	77,539
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფული	(5,393,241)	(3,598,017)
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(753,305)	(411,667)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ფული	-	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	(1,600,973)	(4,165,418)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(10,223,944)	(9,349,863)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
აქციების გამოშვება	23,940,000	24,962,000
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(558,407)	(296,573)
სესხის აღება	6,900,000	-
სესხის ძირის დაფარვა	(1,530,693)	-
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან	28,750,900	24,665,427
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(3,198,878)	3,252,138
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(64,923)	(46,585)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,973,195	767,642
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	709,394	3,973,195

საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

დიჯიტალ არეა არის მზარდი და განვითარებადი ჯგუფი. მომდევნო წლებში ჯგუფი გეგმავს გაზარდოს მომსახურების არეალი და მოიზიდოს ახალი მომხმარებლები. თუმცა, კომპანიის მიზანი არ არის მხოლოდ ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არამედ არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჯგუფი მუდმივად ფიქრობს რა ღირებულება შეუქმნას მომხმარებლებს და როგორ გაუმარტივოს მათ ცხოვრება ახალი ციფრული პროდუქტისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის საჭიროა ჯგუფმა მოიძიოს ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განავითაროს ისინი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

მმართველობითი ორგანო

დიჯიტალ არეას მართავს დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

მმართველი საბჭო

მმართველ საბჭოს აქვს ზოგადი ვალდებულება კომპანიის აქტივებთან, ვალდებულებებსა და რისკის მართვის ქმედებებთან, პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებით. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად გამოყენების მიზნით, დირექტორთა საბჭო ინდივიდუალური რისკის მართვის ფუნქციებს გადასცემს კომპანიის სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოებს.

აქციონერთა კრება

კომპანიის მმართველი უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი.

არაფინანსური ანგარიშგება

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს კომპანიის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. ჩვენ გავზარდეთ მომსახურების მრავალფეროვნება და სერვისების რაოდენობა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 270-ზე მეტს შეადგენდა. ჯგუფი სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწყვედ მუშაობა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს. ჯგუფი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე. ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია ჯგუფში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ჯგუფი მოქმედებს ეთიკურობის ფარგლებში. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე. ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ

არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

ფინანსური ანგარიშგების პროცედურები და რისკის მართვა შესავალი

კომპანიის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის რენტაბელურობისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. კომპანიის საქმიანობას ახასიათებს საოპერაციო რისკი, საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიებისა და დარგებში მომხდარი ცვლილებები. მათი კონტროლი ხდება კომპანიის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკის მართვის სტრუქტურა

სს “დიჯიტალ არეა“-ს მენეჯმენტი ვალდებულია შესაბამისი მიმართულებების მართვისას შეაფასონ, გაანალიზონ და მართონ გადაწყვეტილებების შესაბამისი რისკები, ისე რომ ორგანიზაციას არ მიაღდეს სხვადასხვა ტიპის რისკებისგან გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანი. მენეჯმენტის ყველა წევრი ვალდებულია გაითვალისწინოს საკუთარ გადაწყვეტილებებში შესაბამისი რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა აქტივი არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული. ჯგუფს არ აქვს რეიტინგის სისტემა, რომ შეაფასოს არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული აქტივების საკრედიტო ხარისხი.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კონცენტრირებულია საქართველოს ფარგლებში.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მოახერხოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ჯგუფს არ ემუქრება რაიმე არსებითი ლიკვიდურობის რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. ჯგუფს არ ემუქრება რაიმე არსებითი საბაზრო რისკი, მათ შორის, არც სავალუტო რისკი, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება გაცვლითი კურსის რყევების გამოწვევები.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ქართულ ლარში ხორციელდება. ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს დაქვემდებარება გამოწვეულია კომპანიის მიერ საზღვარგარეთ შესყიდვებით, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარშია ნომინირებული.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგით და მათზე რეაგირებით, ჯგუფი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადებისა და შეფასების პროცესებს.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელი არის ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე.

სს „დიჯიტალ არეა“

ფინანსური დირექტორი:

ნიკა მაღლაფერიძე -----

25 აგვისტო 2025

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ქართულ ლარში ხორციელდება. ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს დაქვემდებარება გამოწვეულია კომპანიის მიერ საზღვარგარეთ შესყიდვებით, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარშია ნომინირებული.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგით და მათზე რეაგირებით, ჯგუფი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადებისა და შეფასების პროცესებს.


ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელი არის ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე.

სს „დიჯიტალ არეა“

ფინანსური დირექტორი:

ნიკა მალლაფერიძე



25 აგვისტო 2025